განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს ბუღალტერთა მომზადების ცენტრში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მარიამ ფიცხელაური

წევრი: ალინა კუპრავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თბილისი, 2018

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ბუღალტერთა მომზადების ცენტრი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 202249931

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული კოლეჯი

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

პროფესიულ კოლეჯში - შპს ბუღალტერთა მომზადების ცენტრი (ს/კ 202249931) ვიზიტის განხორციელების საფუძველი იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2018 წლის 12 ნოემბრის N1020 ბრძანება, რომლის თანახმადაც ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - მარიამ ფიცხელაური, ჯგუფის წევრი - ალინა კუპრავა) დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 06 სექტემბრის N14 სხდომის ოქმის საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული ხარვეზების აღმოფხვრის შემოწმება (არაგეგმიური მონიტორინგი).

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 19 ნოემბერს და წარიმართა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად. აღნიშნული დღის წესრიგი ბრძანებასთან ერთად წარედგინა დაწესებულებას ვიზიტის დაწყების წინ. ვიზიტის პერიოდში შემოწმდა შპს ბუღალტერთა მომზადების ცენტრის მიერ წინა მონიტორინგის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად განხორციელებული ქმედებები. ექსპერტთა ჯგუფმა აგრეთვე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარდგენილი წინა მონიტორინგის დასკვნაში დაფიქსირებული იმ რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები, რომელიც დაწესებულებამ გაითვალისწინა.

ქვესტანდარტი 1.2 **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**
ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობის (კატალოგი) გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ კატალოგში არ არის ინფორმაცია კრედიტების შესახებ, რაც მოითხოვება სტანდარტით.	დაწესებულებამ განაახლა კატალოგი, რომელიც განთავსებულია ვებგვერზე (http://bmc.com.ge). განახლებულ კატალოგში ასახულია ინფორმაცია კრედიტების შესახებ.

1.2 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 1.4 **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

1. დაწესებულების მიერ დადგენილ რეგულაციის მიხედვით პროფესიული სტუდენტის მიღება ხდება ტესტირების გავლის გზით. დაწესებულებას სტუდენტები ჩარიცხული ჰყავს ტესტირების გარეშე; 2. არ არის გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების თაობაზე, რომლითაც უნდა დადგინდეს სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა, მიმღები კომისიის შემადგენლობა და ჩარიცხვისთვის განსაზღვრული დოკუმენტების მიღების ვადა; 3. დაწესებულებას სასწავლო ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ორ არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან. მშობლის ან მეურვის თანხმობა არ არის გამოხატული; 4. სამ პროფესიულ სტუდენტს სტატუსი მინიჭებული ჰქონდა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ“ და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესს; დაწესებულებას პირისათვის სტუდენტის სტატუსი მინიჭებული აქვს უცხოეთში მიღებული განათლების საფუძველზე. უცხოეთში მიღებული განათლება არ არის აღიარებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.	1. გამომდინარე იქედან, რომ პროფესიულ სტუდენტებს უკვე მოპოვებული ჰქონდათ სტატუსი ტესტირების გარეშე, დაწესებულება ვერ აღმოფხვრიდა ამ ხარვეზს; 2. დაწესებულება ვერ აღმოფხვრიდა ამ ხარვეზს, გამომდინარე იქედან რომ პროფესიული სტუდენტები უკვე მიღებული ჰყავდა საგანმანათლებლო პროგრამაზე, თუმცა დაწესებულებამ ბრძანება N47-ით (11.10.2018) შეცვალა „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის წესები“, სადაც აღარ მოითხოვება დაწესებულების დირექტორის ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების თაობაზე, რომლითაც უნდა დადგინდეს სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა, მიმღები კომისიის შემადგენლობა და ჩარიცხვისთვის განსაზღვრული დოკუმენტების მიღების ვადა; 3. დაწესებულებამ გააფორმა ახალი ხელშეკრულებები ძველი რიცხვით (31.01.2018), რომელიც დაწესებულების განმარტებით ხელმოწერილია მშობლების მიერ, თუმცა მშობლის სტატუსის იდენტიფიკაცია ვერ მოხდა გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული სტუდენტების პირად საქმეებში არ არის განთავსებული დაბადების მოწმობები. ასევე გაფორმებულ ხელშეკრულებებში „სტუდენტის“ ნაცვლად დაფიქსირებულია „მსმენელი“. 4. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სამი პროფესიული სტუდენტის განათლების დამადასტურებელი მოწმობები. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტის უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

1.4 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი ვერ აღმოფხვრა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ქვესტანდარტი 1.6 წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები	ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა არ მოქმედებს.	დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესი, რომლის დანართებს წარმოადგენდა: პროფესიული სტუდენტის თვითშეფასების ანკეტა-კითხვარი, პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი და პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული მასწავლებლის შეფასების კითხვარი. თუმცა გამოკითხვა არ ჰქონდა 2014 წლის შემდეგ ჩატარებული. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 11 ოქტომბრის N47 ბრძანებით ცვლილება შევიდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესში და დაემატა სასწავლო პროცესების თვითშეფასება. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაფასებლად "ცენტრმა" უნდა გამოიყენოს: 1. ცენტრის საქმიანობის თვითშეფასების მეთოდი, 2. პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების მეთოდი. მონიტორინგის ვიზიტის დასკვნის ჩაბარების მომენტში დაწესებულებას აღარ ჰყავდა აქტიური პროფესიული სტუდენტები. დაწესებულებამ წარმოადგინა სასერთიფიკატო პროგრამის მსმენელების მიერ შევსებული კითხვარები, რომლებიც არ წარმოადგენს ავტორიზებული პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის ნაწილს. შესაბამისად, დაწესებულებაში ისევ არ მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა.

1.6 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი ვერ აღმოფხვრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ქვესტანდარტი 2.3 **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**
დაწესებულებაში არ არის საგანმანათლებლო პროგრამით დამტკიცებული ინგლისური ენის სახელმძღვანელოები. არსებული წიგნები (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად არ არის დამუშავებული.	ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამით დამტკიცებული ინგლისური ენის სახელმძღვანელოები. დაწესებულებას განემარტა საგანმანათლებლო რესურსების დამუშავების შესახებ საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

2.3 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა.
რეკომენდაცია: დაწესებულებამ დაამუშავოს საგანმანათლებლო რესურსები საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ქვესტანდარტი 2.5 **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**
დაწესებულებას არ გააჩნია საქმისწარმოების დადგენილი წესი, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს კორესპონდენციის აღრიცხვა ჟურნალში ან ელექტრონულად; დაწესებულების არ აქვს შემუშავებული საქმისწარმოების წესი, რომელიც გაითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ მოთხოვნებს; საგანმანათლებლო დაწესებულება არ იყენებს საქმის წარმოების ელექტრონული სისტემით განსაზღვრულ შესაძლებლობებს.	დაწესებულებაში არ არსებობს საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც განხორციელდება გამოცემული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციის წარმოება. წარმოადგინეს ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც აკინძულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, თუმცა შემოსულ კორესპონდენციაში მხოლოდ ორგანიზაციებიდან შემოსული კორესპონდენციები ტარდება, ხოლო ფიზიკური პირების (პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის და ა.შ) განცხადებების გატარება არ ხდება, ასევე არ ტარდება ხელშეკრულებები და მემორანდუმები.

2.5 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი ვერ აღმოფხვრა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ქვესტანდარტი 2.6 **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**
დაწესებულებაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები არ არის გაწერილი. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არ არის იდენტიფიცირებული შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი.	19.11.2018 წელს (ვიზიტის დღეს) ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება N 54-ით განისაზღვრა სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი მედდა; ამავე ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული კოლეჯის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

2.6 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 2.8 **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**
ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის განახლება რეგულარულად არ ხდება, ვებგვერდზე არ არის მითითებული სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები.	დაწესებულების ვებ გვერდზე (http://bmc.com.ge) განთავსებულია სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია. დაწესებულების მიერ განხორციელდა ინფორმაციის განახლება.

2.8 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 2.9 **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

საგანმანათლებლო დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.	დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 11 სექტემბრის N 47 ბრძანებით დამტკიცებულია ერთწლიანი (2019 წლის) სამოქმედო გეგმა. გეგმაში გაწერილია დასახული მიზნების შესაბამისი ამოცანები, დაგეგმილი სამუშაოები, მოსალოდნელი შემოსავალი და ხარჯები. გეგმაში არ ჩანს აქტივობების შესრულების კონკრეტული ვადები და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები.

2.9 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 3.2 **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**
საგადასახადო კოდექსის საგნის მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება ვადაგასულია და არ არის განახლებული.	დაწესებულებამ მოახდინა ხელშეკრულების განახლება და ვადის გაგრძელება.

3.2 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 3.3 **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შრომითი ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, დაცული არაა საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის შემდეგი მოთხოვნები: ა) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა. საგადასახადო კოდექსის საგნის პროფესიულ მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება ვადაგასულია და არ არის განახლებული; ზოგიერთ ხელშეკრულებაში არ არის დაცული შემდეგი ქვეპუნქტების მოთხოვნები - ბ) სამუშაო დრო და დასვენების დრო და ვ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი	შრომითი ხელშეკრულებების განახლება არ განუხორციელებია დაწესებულებას. ზოგიერთ ხელშეკრულებაში არ არის დაცული შემდეგი ქვეპუნქტების მოთხოვნები - ბ) სამუშაო დრო და დასვენების დრო და ვ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი **(დანართი N2).**

3.3 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი ვერ აღმოფხვრა.

IV. გაცემული რეკომედაციების შესრულების შეფასება

დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა მონიტორინგისას დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასახული რეკომენდაციების ნაწილი. კერძოდ:

ქვესტანდარტი 1.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესში მიეთითა სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა - ერთი წელი;

ქვესტანდარტი 1.6. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 11 სექტემბრის N47 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითც დაწესებულებაში პერიოდულად განხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი - ცენტრის საქმიანობის თვითშეფასება, შეგროვებული მონაცემები დამუშავდება და ანალიზის საფუძველზე დაიგეგმება შემდგომი ნაბიჯები.

V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართები:1. ვიზიტის დღის წესრიგი;
2. შრომითი ხელშეკრულება.

13.12.2018
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: